საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეჭდვითი სიტყვა

ბეჭდვითი სიტყვა, ფართო და კრებითი მნიშვნელობით – მთელი ბეჭდვითი პროდუქცია, დაბეჭდილ ნაწარმოებთა ერთობლიობა. ბ. ს. როგორც მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, სოც. და *პოლიტ.* ბრძოლის, განათლების მეცნ. ცოდნის გავრცელების, კულტ. განვითარების, მსოფლმხედველობის, საზ. აზრის ჩამოყალიბების მძლავრი იარაღია. ამ საქმის პიონერები არიან ჩინეთი და კორეა. ევროპაში იგი XV ს. შუა წლებში წარმოიშვა.

ბ. ს-ს ქართ. ენაზე საფუძველი ჩაეყარა 1629, როდესაც რომში დაიბეჭდა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რის შემდეგაც ქართ. წიგნების გამოცემა დაიწყო საქართველოში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში (იხ. საგამომცემლო საქმე; წიგნი).

წიგნის გამოცემა განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა მას შემდეგ, რაც გამოიგონეს მოძრავი ლიტერებით აწყობის სტამბური წესი და ფართოდ დაიწყეს საბეჭდ მასალად ქაღალდის გამოყენება. გაზეთების გამოცემა ევროპაში XVII ს. დასაწყისში დაიწყო, ჟურნალებისა – ამავე საუკუნის II ნახევარში. XIX ს-ში შეიქმნა ბ. ს-ის სააგენტოები. პერიოდული ქართ. ბ. ს-ის დასაწყისი დაკავშირებულია 1819 წ. 8 მარტს გამოცემულ „საქართველოს გაზეთთან“, რ-იც 1820–22 „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით გამოდიოდა. ნაბეჭდი პროდუქცია იყოფა რამდენიმე სახედ: არაპერიოდულ (წიგნები და ბროშურები) და პერიოდულ (ჟურნალ-გაზეთები) გამოცემებად, რ-ებსაც, თავის მხრივ, აქვთ სხვადასხვა მიმართულების კლასიფიკაცია.

წიგნადი პროდუქციის კლასიფიკაცია ხდება მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით: სოც.-*პოლიტ.*, მხატვრული, სამეცნ.-საწარმოო, სასწავლო, საცნობარო და სხვა.

გაზეთები შინაარსის მიხედვით იყოფა საერთო-პოლიტ. და სპეციალიზებულ გამოცემებად. საჟურნალო გამოცემების სისტემა მოიცავს ჟურნალებს, ბიულეტენებს და სხვ. შინაარსის მიხედვით იყოფა საზ.-პოლიტ. და სოც.-ეკონ., ლიტ.-მხატვრულ, საბუნებისმეტყველო-მეცნ., ტექ., სას.-სამ. და სხვა გამოცემებად (იხ. პრესა; ჟურნალი; გაზეთი).

შ. გაგოშიძე